# ატომური ბომბის ლიტერატურა, როგორც კოლექტიური ტრავმის ინსცენირების საშუალება, ოტა იოკოსა დაა მასუძი იბუსეს შემოქმედებაში

ნინო სამარღანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო სამარღანიშვილი. 12.06.2024.

# აბსტრაქტი

ტექსტი იკვლევს ატომური ბომბის ლიტერატურულ ჟანრს და მის მნიშვნელობას ბირთვული იარაღით გამოწვეული ტრავმის წარმოჩენაში. იგი ფოკუსირებულია იაპონელი ავტორების ოტა იოკოსა და მასუძი იბუსეს ნამუშევრებზე, რომლებიც გადმოსცემენ ჰიროშიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. აღნიშნული ჟანრის მწერლები იყოფიან ოთხ ჯგუფად მათი გამოცდილებისა და პერსპექტივების მიხედვით. საკვლევ ობიექტად შეირჩა- მასუძი იბუსეს *შავი წვიმა,* იოკო ოტას *სამარცხვინო ნარჩენები* და *ცხედრების ქალაქი.*

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კოლექტიური მეხსიერების, კულტურული და კომუნიკაციური მეხსიერების, ტრავმული რომანისა და ეკოფემინიზმის თეორიული მიდგომების გამოყენების საფუძველზე, გამოიკვლიოს საკვლევ ობიექტებში გადმოცემული კოლექტიური ტრავმის ფორმა და როგორ მოქმედებს ავტორთა სქესი ტრავმული მოვლენის ასახვაზე. ნარატივის უკეთ აღსაქმელად კვლევაში მოცემულია მეორე მსოფლიო ომის და ჰიროშიმას დაბომბვის ისტორიული კონტექსტი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ატომური დაბომბვის შედეგად მიღებული კოლექტიური ტრავმის გავლენა ინდივიდებსა და საზოგადოებაზე. ოტა იოკოსა და მასუძი იბუსეს ნაწარმოებების კვლევამ, დასახელებული თეორიული ჩარჩოების მიდედვით, აჩვენა ტრავმის ხანგრძლივი ეფექტი ინდივიდებზე, რომელიც შემდგომ აყალიბებს კოლექტიურ მოგონებებს. გარდა ამისა, ნაწარმოებთა ეკოფემინისტური კუთხით გამოკვლევამ აჩვენა ქალისა და ბუნების ურთიერთკავშირი ტრავმული მოვლენის პირობებში. მამრობითი და მდედრობითი სქესის ავტორების კონტრასტული შედარების საფუძველზე წარმოჩინდა ტრავმის გადმოცემის განსხვავებული პერსპექტივები.

და ბოლოს, დოკუმენტი ხაზს უსვამს ლიტერატურული ნაწარმოებების როლს კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში და ხელს უწყობს ისტორიული მოვლენების უფრო ღრმა გაგებას.



**საკვანძო სიტყვები:** *ტრავმა, ატომური დაბომბვა, ჰიროშიმა, კულტურული მეხსიერება, კოლექტიური მეხსიერება, ეკოფემინიზმი, იდენტობა, ასახვა და ურთიერთდაკავშირება*